

ქ.თბილისი

04.08.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ნინო მოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი მიქაძე - ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსი;

მარინე ჟვანია - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლალი შაიშმელაშვილი - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;

სალომე ფრუიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ფანჩულიძე - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ირინე კვაჭაძე;
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორი - მანანა დოიჯაშვილი;
3. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე - ირაკლი ბარამიძე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - მერაბ ხალვაში;
4. შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი - თინათინ ჯავახიშვილი;
5. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რექტორი ეკატერინე მაისურაძე;
6. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ დირექტორი ვასილ კიკნაძე;
7. შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი - რამაზ ნამიჭიშვილი;
8. შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა „იბერიის“ დირექტორი - ნინო ზაქარეიშვილი;
9. შპს - „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის“ იაგო ხაჭვანი;
10. შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის დირექტორი - დავით ზარნაძე.

ავტორიზაციის ექსპერტები:

დავით ბოსტოლანაშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
მარინა გედევანიშვილი;
თეა ნადირაძე;
ციური დურული;
ეკატერინე გიგაშვილი;
ლიანა კობესაშვილი;
დავით ჭიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ - იოსებ სალუქვაძემ - სხდომა გახსნა 19⁴⁵ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა „იბერიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ თვითაც ილება. საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ, ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე, განაცხადა თვითაც ილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით მაკარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია, განახორციელოს აგრეთვე დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც სრულად ასახავს მონაცემებს ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ (მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, საგანმანათლებლო პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, მიზნების, შედეგების, სასწავლო კურსების, კრედიტებში მათი მოცულობის, ასევე შეფასების წესების შესახებ), თუმცა არ აქვს მასში ასახული მონაცემები სამაგისტრო პროგრამების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ამჟამად მიმდინარეობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში კატალოგის სრულყოფაზე მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიმდინარეობდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში კატალოგის სრულყოფაზე მუშაობა და ვიზიტის დასრულებიდან ერთ დღეში სრულყოფილი კატალოგი განთავსდა დაწესებულების ვებგვერდზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან სსიპ - თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშით, საერთო ფართის ოდენობაში მითითებული აქვს იმ კლინიკების (საერთო ჯამში 164 კლინიკის) მფლობელობაში არსებული ფართი (საერთო ფართი - 255 675.23; სასწავლო ფართი - 63.001; დამხმარე ფართი - 192.674) რომლებთანაც დადებული აქვს ხელშეკრულება/მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, თუმცა კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული არ არის.

2.2 დაწესებულებაში ამჟამად ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები არასრულყოფილია, გამონაკლისია ასათიანის ქუჩაზე არსებულ შენობა-ნაგებობათა ნაწილი, სადაც დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა. ამასთან, დაწესებულებას 2011 წლის 14 ივლისს დადებული აქვს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „ელ+“-თან, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელი იღებს ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების დაწესებულებისათვის მიწოდების და ცეცხლმაქრების დამუხტვის ვალდებულებას, ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

2.3 2011 წლის 19 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ი/მ მაგული ჩხენკელი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს დაწესებულების ადმინისტრაციის, პირველი, მეორე და მესამე კორპუსებისათვის, ასევე ლუბლიანას ქ. №21-ში მდებარე თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკისათვის საევაკუაციო გეგმების შედენა, დამზადება და მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. დაწესებულებაში ევაკუაციის გეგმის თვალსაჩინო ადგილზე გამოკვეთის პროცედურა დაიწყო ვიზიტის დროს.

2.4 ადმინისტრაციულ და I სასწავლო კორპუსებს აქვს პანდუსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სხვა შენობა-ნაგებობებში პანდუსები, ან სსსმ მოსწავლეებისათვის გადაადგილების შესაძლებლობა არ არსებობს. ადაპტირებული გარემოს სრულყოფისათვის გამოცხადებულია ტენდერი II და III სასწავლო კორპუსების პანდუსით უზრუნველყოფის მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ტენდერების მიმდინარეობის ფაქტი და აღნიშნა, რომ პირველი კორპუსიდან შიდა კიბეების გავლით შესაძლებელია სხვა კორპუსებში გადასვლა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სსიპ - თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტებს აქვთ იდენტური შენიშვნები, რაც დააფიქსირეს აკადემიური ნაწილის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა დაწესებულებისათვის განსასაზღვრი სტუდენტთა რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის გამოსაყოფი ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრულიყო 50 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და დაწესებულების შუამდგომლობის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის თანახმად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს 2011-2012 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 5958-ით. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია, განახორციელოს აგრეთვე დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარების მიხედვით, საერთო ფართობი მითითებული იყო ჩუბინაშვილის ქ. N42-ში მდებარე შენობა-ნაგებობა. ადგილზე გადამოწმების შედეგად ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული ფართი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, ა(ა)იპ - ჩვენ სკოლას.

1.2 კონსერვატორია არ არის ჩართული საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, თუმცა ითვალისწინებს აღნიშნულის აუცილებლობას და დაგეგმილი აქვს პრობლემის გადაჭრა.

1.3 კონსერვატორიას შემუშავებული აქვს სწავლების მეთოდოლოგია უსინათლოთათვის. სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ განსახორციელებელია შესაბამისი ღონისძიებები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, განმარტება გაეკეთებინა ბიბლიოთეკის საერთაშორისო ელექტრონულ ქსელში ჩართვასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და პროცედურები უახლოეს მომავალში დასრულდება.

ჩუბინაშვილის ქ. N42-ში მდებარე შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მუსიკა არის ისეთი პროფესია, თუ ბავშვმა არ ისწავლა სკოლის პერიოდში, იგი ვერ მოვა კონსერვატორიაში. ეს ტრადიცია მოიშალა, ამიტომ, ტრადიციის აღსადგენად, კონსერვატორიამ გაარემონტა ეს შენობა და ორი წლის წინ იქ გახსნა სამუსიკო სემინარია, ამ სემინარიისათვის კი გაიხსნა სკოლა. საჯარო სკოლის დაფუძნება ვერ მოხერხდა, ამიტომ დაფუძნდა კერძო სკოლა. ამ სკოლით სარგებლობენ კონსერვატორიის სტუდენტები, პრაქტიკის გავლის კუთხით. ასევე კონსერვატორიას აქვს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებლების აღზრდა. ამ მხრივ მაღალი სტანდარტია

დადგენილი და კონსერვატორიის გარდა ამ სტანდარტს ვერავინ შეასრულებს. ამისათვის მოხდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამოყენება. რეალურად ეს ფართი კონსერვატორიის სასწავლო პროცესისათვის აუცილებელია.

საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს კომენტარის გაკეთება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონსერვატორიაში სწავლობდა უსინათლო სტუდენტი თამარ შავლაშვილი, რომლისთვისაც შეიმუშავეს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, თუ მომავალშიც გამოჩნდება მსურველი, რომელსაც ექნება განსაკუთრებული სამუსიკო მონაცემები, დაწესებულება აუცილებლად შეუწყობს მას ხელს.

საბჭოს წევრი ლალი ლოღელიანი დაინტერესდა - რამდენად არის მეთოდოლოგიურად გამართლებული ის, რომ კონსერვატორიის სტუდენტები პრაქტიკას გადიან სამუსიკო სკოლის მოსწავლეებთან და უფრო მეტი კომპეტენციის ადამიანმა ხომ არ უნდა იმუშაოს პატარა ბავშვებთან?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლექტორი ასწავლის სტუდენტს, რა რეპერტუარზე როგორ უნდა იმუშაოს, სტუდენტი მზად არის, დაიწყოს სამუსიკო სკოლაში სწავლება. კონსერვატორიას აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ინტეგრირებულია საბაკალავრო პროგრამაში და რომელშიც ისწავლება მოდულები, რომლებიც აუცილებელია მასწავლებლის კომპეტენციების გამომუშავებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით შენიშვნა ყურადსაღებია, თუმცა დაწესებულების სასწავლო რესურსების სპეციფიკურობაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტებს აქვთ იდენტური შენიშვნები, რაც დააფიქსირეს აკადემიური ნაწილის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა დაწესებულებისათვის განსასაზღვრი სტუდენტთა რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის გამოსაყოფი ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრულიყო 65 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და დაწესებულების შუამდგომლობის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 1359-ით. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 65-ით.

3. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია, განახორციელოს აგრეთვე დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში მითითებულ ფართების რაოდენობასა და ექსპერტთა მიერ შემოწმების შედეგად დადგენილ შორის არსებული სხვაობა განპირობებულია შემდეგით: ექსპერტთა მიერ სასწავლო ფართში არ იქნა ჩათვლილი ხელვაჩაურის რ-ნის, სოფ. მწვანე კონცხზე მდებარე შენობის I სართულზე მდებარე ფართის 513 კვ. მ. ხოლო, ქ. ბათუმში, გრიშაშვილის ქ. №5 ში მდებარე შენობის I და II სართულზე სასწავლო ფართზე დამატებული იქნა 85 კვ. მ. გადატიხრული დერეფნები, რომლებშიც განთავსებულია აპარატურები და რომლებიც იქ არსებული ლაბორატორიების განუყოფელი ნაწილია, ასევე სასწავლო ფართს დაემატა ნინოშვილის #35-ში არსებული საკონფერენციო დარბაზები - 454 კვ.მ, რომელიც დაწესებულების მიერ ჩათვლილი იყო დამხმარე ფართად.

1.2 გარდა ამისა, დაწესებულებას კითხვარში არ ჰქონდა მითითებული ქობულეთში თავისუფლების 90-ში მდებარე უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო ცენტრი, რომელიც რსუ-ს შეუერთდა სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და სსიპ - ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის 185-ე დადგენილებით აღნიშნულ ფართში შეიძლება სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებულ იქნას 1671, ხოლო დამხმარედ 1368 კვ.მ.

1.3 ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას არ ჩაუთვალა ქ. ბათუმში მდებარე სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების კუთვნილი ფართები, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი ხელშეკრულების შინაარსი და ეს ხელშეკრულებები არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი ბარამიძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრში დაწყებული არის წარმოება დაწესებულების მიერ იჯარით აღებული სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების კუთვნილი 1160 კვ.მ. ფართის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარის თქმით, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მომენტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. რადგანაც ამ დროს იჯარის ხელშეკრულებები არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, საბჭო მათ ვერ გაითვალისწინებს სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის დროს. გარდა ამისა, როგორც კი მოხდება ფართების დარეგისტრირება, კანონმდებლობის თანახმად, დაწესებულებას შეუძლია, გააკეთოს განაცხადი სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტებს აქვთ იდენტური შენიშვნები, რაც დააფიქსირეს აკადემიური ნაწილის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა დაწესებულებისათვის განსასაზღვრი სტუდენტთა რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის გამოსყოფი ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრულიყო 500 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და დაწესებულების შუამდგომლობის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 4940-ით. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია, განახორციელოს აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მან ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურიდან ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი წიგნი, რომლის თაობაზე ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზაში მითითებულია, რომ სტუდენტმა ამ წიგნის მოსაპოვებლად უნდა ისარგებლოს პროფესორის ბიბლიოთეკით, რომელიც ინახება შესაბამისი მიმართულების კათედრაზე ან დეკანატში.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

2.1 პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის მონაცემების მიხედვით, თესაუს სრული პროფესორი მალანია ელისაბედი იმავდროულად ფიქსირდება როგორც შპს თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხისა“ და შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2.2 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არსებული აკადემიური პერსონალი შერჩეულია 4 კონკურსის შედეგად. ხარვეზი შეინიშნება 2 კონკურსთან მიმართებაში, კერძოდ:

პირველი კონკურსი გამოცხადდა რექტორის 2008 წლის 2 სექტემბრის ბრძანებით №296. ხოლო ამ კონკურსის შედეგად აკადემიური პერსონალი დაინიშნა რექტორის 2008 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით №340. დარღვეულია კანონით დადგენილი ვადები. კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ პერიოდისათვის მოქმედი რედაქციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 1 და კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე. მოცემულ შემთხვევაში კონკურსთან დაკავშირებული პროცედურები დასრულდა 17 დღეში. სულ კონკურსი გამოცხადებული იყო 5 თანამდებობაზე. კონკურსის შედეგად დანიშნულ

პირებს შორის ამჟამად აკადემიური თანამდებობა უკავია მხოლოდ ასოცირებულ პროფესორ ნანა ბლუაშვილს.

მეორე კონკურსი გამოცხადდა რექტორის 2008 წლის 5 ნოემბრის ბრძანებით №457. ამ კონკურსის შედეგად აკადემიური პერსონალი დაინიშნა რექტორის 2008 წლის 1 დეკემბრის ბრძანებით №495. დარღვეულია კანონით დადგენილი ვადები. მოცემულ შემთხვევაში კონკურსთან დაკავშირებული პროცედურები დასრულდა 26 დღეში. სულ კონკურსი გამოცხადებული იყო 1 თანამდებობაზე, აკადემიური თანამდებობა დაიკავა ასოცირებულმა პროფესორმა ია ჯიმშიტაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს და აღნიშნა, რომ დღეისათვის ელისაბედ მაღანია დაწესებულებაში აღარ მუშაობს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში სტუდენტების რაოდენობის გამოთვის დროს მხედველობაში არ მიიღება კონკურსის ჩატარების წესის დარღვევით არჩეულ აკადემიური თანამდებობის მქონე 2 პირს.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნა არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა დაწესებულებისათვის განსასაზღვრი სტუდენტთა რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის გამოსაყოფი ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრულიყო 80 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და დაწესებულების შუამდგომლობის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 2697-ით. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

5. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ სხდომის დღეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან დაკავშირებით ცენტრში შემოვიდა დაწესებულების წერილობითი კორესპონდენცია, რომელშიც მოცემულია, ერთი მხრივ, დამატებითი დოკუმენტაცია ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების აღმოფხვრის დამადასტურებლად და, მეორე მხრივ, დაწესებულების მოსაზრებები გარკვეულ შენიშვნებთან დაკავშირებით. საბჭოს მიერ დოკუმენტის უკეთ შესწავლის მიზნით დაწესებულება შუამდგომლობს საკითხის განხილვის გადადებას საბჭოს შემდგომი სხდომისათვის. ნანა ჭილაძის თქმით, საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ შექმნილ დოკუმენტებს, ხოლო გარკვეულ შენიშვნებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირების საშუალება დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს მიმდინარეობის დროს მიაცემათ. საბჭო დაეთანხმა ცენტრის მოსაზრებას და გააგრძელა საქმის განხილვა.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარინა გედევანიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სამი საგანმანათლებლო პროგრამა - საექტონო საქმის საბაკალავრო, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო და ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა. თუმცა, საყურადღებოა, რომ რექტორის 2011 წლის 15 ივნისის ბრძანებით №044 ჯერ პროგრამებია დამტკიცებული, ხოლო შემდგომ, 2011 წლის 24 ივნისის ბრძანებით №051 მათი შემუშავების ინსტრუქცია.

1.2 საგანმანათლებლო პროგრამებში 1 კრედიტი განისაზღვრება 25 საათით და საათების რაოდენობა განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად, დასკვნითი გამოცდის ჩათვლით, 17 სასწავლო კვირის განმავლობაში, ხოლო მე-18-მე-19 სასწავლო კვირას ტარდება „გამოცდის გადაბარება“, ანუ დამატებითი გამოცდა. შესაბამისად, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში საათები განაწილებულია სემესტრში 17 სასწავლო კვირის განმავლობაში და აკადემიური წლის ხანგრძლივობა ნაცვლად 38 სასწავლო კვირისა 34 სასწავლო კვირას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-2 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამუშაოს მოცულობა, გამოხატული დროის ერთეულში განაწილებული უნდა იყოს აკადემიური წლის განმავლობაში მინიმუმ 38 სასწავლო კვირაზე.

ვიზიტის მესამე დღეს წარმოდგენილ იქნა რექტორის 2011 წლის 20 ივლისის №064 ბრძანება, რომლის თანახმადაც ერთი აკადემიური წელი 38 სასწავლო კვირაა, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებით აღნიშნული არ დასტურდება.

38 სასწავლო კვირასთან მიახლოებულია მხოლოდ საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის მე-3 სასწავლო წელი, ვინაიდან პრაქტიკა ტარდება მე-6 სემესტრში 20 სასწავლო კვირის განმავლობაში. როგორც სილაბუსებიდან ირკვევა, მეხუთე სემესტრი მოიცავს 17 სასწავლო კვირას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში სასწავლო კვირათა რაოდენობა შეადგენს 37-ს (მეხუთე სემესტრი - 17 სასწავლო კვირა და მეექვსე სემესტრი - 20 სასწავლო კვირა).

1.3 საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო საქმე" სასწავლო კურსებში: MED 22(3)1 ფილოსოფიის შესავალი; MED 22(3)2 ბიოეთიკის საფუძვლები; MED 22(3)3 კულტუროლოგია; MED 22(3)4 საქართველოს ისტორია; MED 22(3)5 ლოგიკა; MED 4735 გერიატრია და გერიატრიული პაციენტთა მოვლა; MED 2420 ფარმაცოლოგია; MED 3528 პედიატრია და პედიატრიულ პაციენტთა მოვლა; MED 1208 სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით - სწავლებისა და სწავლის მეთოდში მითითებულია პრაქტიკული მეთოდით სწავლება, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსის თავში საათები განაწილებულია მხოლოდ ლექციასა და სემინარზე. ამდენად, სტუდენტის საქმიანობა მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო საათებს - ლექციასა და სემინარზე დასწრებას.

ანალოგიურად სასწავლო კურსებში: MED 4735 გერიატრია და გერიატრიული პაციენტთა მოვლა; MED 1208 სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით - სწავლებისა და სწავლის მეთოდში მითითებულია ლაბორატორიული ცდები, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსში საათები განაწილებულია მხოლოდ საკონტაქტო საათებზე: ლექციასა და სემინარზე.

აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს: "კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ მასწავლებელთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით".

1.4 ასევე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო საქმის" პრაქტიკის საათები: "372 საათი პრაქტიკული მუშაობა, 3 საათი ფინალური გამოცდა" სრულად არის განაწილებული საკონტაქტო დროზე.

1.5 ზოგიერთი სილაბუსის სწავლების მეთოდებში მითითებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობა, ხოლო სასწავლო პროცესის საათები განაწილებულია მხოლოდ ლექცია/სემინარებზე. შესაბამისად, სტუდენტის საქმიანობა მოიცავს მხოლოდ ლექციაზე და სემინარზე დასწრებას.

1.6 სილაბუსებში - MED 2423 ინფექციური დაავადებები და ინფექციურ პაციენტთა მოვლა; MED 1209 სამედიცინო ბიოქიმია; MED 2422 შინაგანი მედიცინა და თერაპიულ პაციენტთა მოვლა "სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის" თავში მითითებულია კურსზე დაშვების სავალდებულო წინაპირობად - "სამედიცინო ბიოლოგია", რომელიც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო საქმე" სასწავლო გეგმაში, სასწავლო კურსთა ჩამონათვალში არსად არის მითითებული. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს სასწავლო კურსის "სამედიცინო ბიოლოგია" სწავლებას. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არ არის თანმიმდევრული.

1.7 ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა 254-კრედიტიანია, თუმცა პროგრამის შინაარსში გვხვდება ორი განსხვავებული ჩანაწერი, კერძოდ, „კრედიტების განაწილებაში“ მითითებულია, რომ „საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან“, ხოლო სწავლების პერიოდსა და მოცულობაში – „პროგრამა მოიცავს 254 კრედიტს“.

1.8 როგორც რექტორის 2011 წლის 20 ივლისის №064 ბრძანებიდან ჩანს, სემესტრის ხანგრძლივობა 19 სასწავლო კვირაა, გამონაკლისია მესამე სემესტრი, რომელიც პრაქტიკის მოცულობის გამო გრძელდება არანაკლებ 19 და არაუმეტეს 25 კვირა. საკონტაქტო დატვირთვა კვირაში არა უმეტეს 30 საათია.

ეს არ დასტურდება პრაქტიკის სილაბუსით, რომლის თანახმადაც პრაქტიკა მიმდინარეობს 14 სასწავლო კვირის განმავლობაში, ხოლო მე-15 კვირას ტარდება „ფინალური გამოცდა“. პრაქტიკისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა მერყეობს 32 საათიდან 40 საათის ჩათვლით. ამას ემატება ორი სასწავლო კურსის საკონტაქტო დრო 7 საათის ოდენობით, ე.ი. სტუდენტის დატვირთვა კვირაში არა 30 საათია, არამედ 39–დან 47 საათამდე მერყეობს.

1.9 ჯანდაცვის მენეჯმენტის 18 სილაბუსიდან 15–ში ძირითად და დამატებით ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. რექტორის განმარტებით სასწავლო უნივერსიტეტმა თხოვნით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა უფლება მოიპოვოს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ინგლისურ ენაზე განხორციელებისა. წერილი მართლაც არის გაგზავნილი, მაგრამ ვიზიტის დროს პასუხი არ ჰქონია უნივერსიტეტს და არ ვიცით, როგორ გადაწყდა ეს საკითხი.

1.10 ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების შესახებ ყველა პროგრამას ახლავს, თუმცა როგორც სილაბუსებიდან ირკვევა, ყველა მათგანი არ კითხულობს ლექციას. მაგალითად, როგორც ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამიდან ირკვევა, პროგრამას ახორციელებს 2 სრული, 2 ასოცირებული, 2 ასისტენტ–პროფესორი და მოწვეული 10 პროფესორი (მათ შორის უცხოეთიდან 5). თუმცა, პროგრამის 18 სასწავლო კურსიდან რვას ასოცირებული პროფესორი ლაშა ლორია კითხულობს, მოწვეული 5 პროფესორიდან ლექციებს არცერთი არ კითხულობს, ხოლო უცხოეთიდან მოწვეული 5 პროფესორიდან მხოლოდ 2 კითხულობს ლექციებს.

1.11 სამ სასწავლო კურსს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ჯონ იპენი ასწავლის, თუმცა ის სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფაში მოხსენიებული არ არის. აღნიშნული პიროვნების მიერ 2011 წლის 15 ივნისს ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთადაა დამტკიცებული შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებიც (მათ შორის სამი სილაბუსი მისი ავტორობით, რომელთაგანაც ერთში იგი მოიხსენიება როგორც სრული პროფესორი, ხოლო ორში, როგორც მოწვეული პედაგოგი. სრული პროფესორი ვერ იქნება, რადგანაც კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მოწვეული არის თუ არა, არ დგინდება, რადგანაც ხელშეკრულება არ არის.

1.12 სრულ პროფესორთან, თამარ იოსებაშვილთან სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ერთწლიანი ხელშეკრულება (2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე), თუმცა სასწავლო კურსი, რომელსაც ის კითხულობს (მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია იმუნოლოგია) ისწავლება მესამე სემესტრში, შესაბამისად ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო კურსს ”ექთნის საქმიანობა” არ ჰყავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი.

1.13 გვხვდება ისეთი სილაბუსებიც, რომელთა ავტორები არ ფიქსირდებიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ”ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია” განმახორციელებელ პირთა სიაში.

1.14 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნული 3 პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისი 70 სილაბუსი, რომელთაგანაც 43 სილაბუსის ავტორი სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფაში საერთოდ არ მოიაზრება, ხოლო დარჩენილი 27-დან 8 სილაბუსი ასოცირებულ პროფესორს ზაზა ბერიშვილს ეკუთვნის, ხოლო 4-მოწვეულ პედაგოგს თინათინ ზაღდასტანიშვილს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით დაადასტურა, რომ პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია ნამდვილად პროგრამების დამტკიცების შემდეგ იყო მიღებული და აღნიშნა, რომ ეს ინსტრუქცია არის რეკომენდაცია, რომელიც არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია.

მეორე შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, N3 ბრძანებას დაწესებულება განმარტავს იმგვარად, რომ 38 კვირაში მოიაზრება დამატებითი გამოცდებისათვის განსაზღვრული დროც. შესაბამისად, ბრძანების მოთხოვნა არ დარღვეულა.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით ჩააბარებს საბოლოო გამოცდას სტუდენტი, იქნებოდა თუ არა მისი სამუშაო კვირების რაოდენობა 17. წარმომადგენელმა აღნიშნული დაადასტურა, მაგრამ დაამატა, რომ გაანგარიშება უნდა მოხდეს დამატებითი გამოცდების გათვალისწინებით. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინც წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, მას 17 სასწავლო კვირა გამოსდის.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, აღნიშნა, რომ რამდენადაც ექსპერტებს შენიშვნა აქვთ კვირის განმავლობაში დატვირთვასთან დაკავშირებით, ამ დატვირთვის შემცირება და მისი გადანაწილება კანონმდებლობით დადგენილ კვირების რაოდენობაზე დაწესებულების ორივე პრობლემას აღმოფხვრიდა.

მეხუთე შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ტერმინ სემინარში მოიაზრება ჯგუფური მუშაობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც აუდიტორიაში, ასევე კლინიკაში. ამიტომ სემინარი თავის თავში მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობასაც.

საბჭოს წევრი ანა კლდიაშვილი დაინტერესდა, თუ ტერმინი გამოიყენება მსგავსი შინაარსით, რატომ არ მოხდა ამის გაწერა სილაბუსში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ცალკეულ შემთხვევებში ეს შეუძლებელია.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებას.

მეექვსე შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ "სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის" თავში კურსზე დაშვების სავალდებულო წინაპირობად ნამდვილად მითითებულია - "სამედიცინო ბიოლოგია", მაგრამ ეს სახელწოდება შემოკლებით არის მოცემული. უნდა ეწეროს „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკაში“, რაც აბსოლუტურად იდენტური შინაარსის ტერმინია.

დაწესებულების წარმომადგენლის ამ შენიშვნას არ დაეთანხმა საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია.

მეშვიდე შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეალურად პროგრამა არის 254-კრედიტიანი. გარკვეულ ეტაპზე მოხდა მისი მოდერნიზაცია.

მანამდე პროგრამის მოცულობა იყო 240 კრედიტი. აქედან გამომდინარე, დაშვებულია მექანიკური შეცდომა.

საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები გაფორმებულია სხვადასხვა პირთან, რომელთა ნაწილიც პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს, ნაწილი კი - არა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პრობლემა იყო არა იმ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც რეალურად არ ასწავლიან დაწესებულებაში, არამედ ის, რომ პროგრამის განმახორციელებლად მითითებული არიან ისეთი პირები, რომლებიც, სილაბუსების თანახმად, არ არიან ჩართული არც ერთ კომპონენტის განხორციელებაში. და პირიქით, გვხვდება სილაბუსები, რომლის ავტორები არიან პირები, რომლებიც არ არიან მითითებული პროგრამის განმახორციელებელთა შორის.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში "საექთნო საქმე" სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის "MED 3525 ქირურგია და ქირურგიული პაციენტთა მოვლა" სილაბუსის სწავლებისა და სწავლის მეთოდებში მითითებულია მასალის დემონსტრაცია - საექსპერიმენტო ცხოველებით, მაგრამ დაწესებულებაში და თანამშრომლობის ხელშეკრულებებშიც არ დასტურდება შესაბამისი მატერიალური რესურსის არსებობა.

2.2 დაწესებულების ბიბლიოთეკაში რექტორის ბრძანებით დანიშნულია ერთი პირი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. დაწესებულების დებულების მე-19 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია შემდეგი: "ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის სწორ წარმართვაზე". ვინაიდან ბიბლიოთეკაში დანიშნულია მხოლოდ ერთი პირი, რომლის დაწესებულების დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებით მხოლოდ თანამშრომელთა საქმიანობაზე ხელმძღვანელობა ევალება. ასეთი პირობებით დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის სათანადო მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო კურსი "MED 3525 ქირურგია და ქირურგიული პაციენტთა მოვლა" ისწავლება მესამე კურსზე. საექსპერიმენტო ცხოველებში იგულისხმება არა ცოცხალი, არამედ მკვდარი, დაკლული ცხოველები, მათ შორის ფრინველები. ამიტომ მათი ამჟამად დაწესებულებაში შენახვის არანაირი საჭიროება და შესაძლებლობა არ არსებობს.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ პაციენტთა მოვლა გულისხმობს ცოცხალ პაციენტებთან ინტერაქციას და ამ მიზნით მკვდარი ცხოველების, მით უმეტეს ფრინველების გამოყენება წარმოუდგენელია. ამასთან, ადამიანისა და ფრინველის ანატომიური შეუსაბამობიდან გამომდინარე, სასწავლო მიზნებისთვის მკვდარი ფრინველის გამოყენება მეთოდურადაც გაუმართლებელია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 სასწავლო უნივერსიტეტში, საკონკურსო მასალებსა და რექტორის ბრძანებებზე დაყრდნობით აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 36, მათ შორის 11 სრული, 13 ასოცირებული და 12 ასისტენტ - პროფესორია. თუმცა ვიზიტის მომენტისათვის სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში ზემოაღნიშნული 36 პროფესორიდან ფიქსირდებოდა მხოლოდ 5 (ხუთი), მათგან 3 (სამი) – ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, ხოლო 2 (ორი)-ის – ფიქსირდებოდა მხოლოდ გვარი, აკადემიური თანამდებობის გარეშე. აღნიშნული ორიდან ერთი პროფესორი ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ლაშა ლორიაა.

3.2 დაწესებულებაში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-35-ე მუხლების მოთხოვნებისა და აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესით დადგენილი პირობების შესაბამისად აკადემიური პერსონალის შესარჩევი ორი კონკურსი ჩატარდა:

პირველი კონკურსი – 2010 წელს, რომლის შედეგადაც როგორც რექტორის 2010 წლის 28 სექტემბრის #164-ე ბრძანებიდან ჩანს, 4 წლის ვადით არჩეულ იქნა 2 სრული (ნაირა ღვედაშვილი და თამარ გურეშიძე) და 1 ასოცირებული პროფესორი (თამარ გელაშვილი). აღნიშნული არ დასტურდება საკონკურსო კომისიის #1 სხდომის ოქმით, რომლის თანახმადაც ზემოაღნიშნულ სამივე პიროვნებას საკონკურსო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა პიროვნებებმა საერთოდ მიიღეს მონაწილეობა კონკურსში, ვერ დასტურდება აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალით. ამ ჟურნალის მიხედვით, სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი იყო მხოლოდ ერთი პიროვნება, რექტორის ბრძანებით კი დაინიშნა ორი. მოგვიანებით სრულმა პროფესორმა ნაირა ღვედაშვილმა საკუთარი სურვილით დატოვა აკადემიური თანამდებობა.

3.3 თინა დვალიშვილთან დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა 2011 წლის 24 მაისს. სამუშაოს აღწერილობაში არც ის არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელ სასწავლო კურსს კითხულობს ან კითხულობდა აღნიშნული პიროვნება;

3.4 სრულ პროფესორთან, თამარ იოსებაშვილთან სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ერთწლიანი ხელშეკრულება, თუმცა სასწავლო კურსი, რომელსაც ის კითხულობს (მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია იმუნოლოგია) ამ პერიოდის განმავლობაში არ იკითხება.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით შეტანილ განაცხადში მითითებულ სასურველ აკადემიურ თანამდებობასა და კონკურსის შედეგად დაკავებულ თანამდებობას შორის განსხვავებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მიღებულ იქნა დასახელებული პირი, დღეის მდგომარეობით გაუქმებულია და აღარ ხორციელდება.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ ბ“ ქვეპუნქტის, 56 ⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ევროპულ საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თათა ერქვანიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, კერძოდ, ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დადასტურდა შესაბამის პროფესიულ სტანდარტებთან შეუსაბამობა თეორიული და პრაქტიკის კომპონენტების თანაფარდობის კუთხით. კერძოდ:

- ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 40% – თეორიულ სწავლებას. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. სასწავლო გეგმისა და სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 750 საათიდან საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 425 საათი, რაც საერთო მოცულობის 57%-ს შეადგენს.

- ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 40% – თეორიულ სწავლებას. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს. სასწავლო გეგმისა და სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკის კომპონენტი შეადგენს 42 კრედიტს, რაც შეადგენს 1050 საათს, რაც საერთო მოცულობის 47%-ს შეადგენს და სტანდარტით დადგენილ 60%-ზე ნაკლებია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროგრამების სასწავლო გეგმებით და სილაბუსებით ლექციებთან ერთად გათვალისწინებულია პრაქტიკული მეცადინეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის საათები.

1.2 კბილის ტექნიკოსის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არ ისწავლება ინფორმაციული ტექნოლოგიები და უცხო ენა, ხოლო ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

თუმცა, აღნიშნული პროგრამების წინა საფეხურებზე, კერძოდ – კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის და ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ორივე კურსი ისწავლება. მიუხედავად ამისა, პროფესიულ სტუდენტს სრულყოფილად ვერ გამოუმუშავდება შესაბამისი პროფესიული

სტანდარტითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლით გათვალისწინებული საფეხურის შესაბამისი კომუნიკაციის უნარი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და უცხო ენის ნაწილში.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ფიქრობდნენ, რომ მეორე შენიშვნა უფრო პროგრამული აკრედიტაციის სფეროს მიეკუთვნებოდა, ვიდრე ავტორიზაციას.

საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ ეს ასე არ არის, თუმცა შენიშვნა არ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ამ პოზიციას დაეთანხმა საბჭოს წევრი ანა კლდიაშვილიც.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება შენიშვნებს და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულებიდან ორი დღის ვადაში ყველა ხარვეზი გასწორდა. ეს მოხდა პასუხისმგებლობის გრძნობიდან გამომდინარე, სხვა მხრივ, დაწესებულება აცნობიერებს, რომ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ექსპერტთა ვიზიტის მომენტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დააზუსტა, რომ პრაქტიკის სავალდებულო 60%-ს აკლდა მხოლოდ რამდენიმე საათი, ხოლო სხვა კომპონენტებში პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა იმდენად დიდია, რომ დაწესებულებამ ჩათვალა, რომ შესაბამისი კომპეტენციების მიიღწეოდა სწორედ პრაქტიკული მეცადინეობების ხარჯზე.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, აზრით, ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზები არსებითად არ შეცვლის სასწავლო პროცესს კოლეჯში. გარდა ამისა, ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის შემთხვევაში სტანდარტით მოთხოვნილია მინიმუმ 60 კრედიტი, ხოლო დაწესებულების პროგრამა 90-კრედიტიანია. შესაბამისად, დაწესებულება სტუდენტს სტანდარტთან შედარებით დამატებით სამუშაოსაც კი ასრულებინებს, რაც პრაქტიკული მეცადინეობები ნაწილში ცალსახად გადაფარავს ნაკლს.

საბჭოს წევრები - გაიანე სიმონია და რუსუდან ტყემელაშვილი - დაეთანხმნენ დავით კახნიაშვილის მოსაზრებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ მიენიჭოს ავტორიზაცია და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 635-ით.

7. შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ბექა ძამაშვილმა რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების მიხედვით, გამოცდაზე დაშვების მიზნით სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 20 ქულა. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“ არ ითვალისწინებს აღნიშნულ შეზღუდვას.

1.2 ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება ინფორმაციული ტექნოლოგიები, შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს ვერ გამოუმუშავდება პროფესიული სტანდარტითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის, მე -5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარი ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაწილში.

1.3 დაწესებულების დირექტორის 2011 წლის 28 აპრილის N20 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი. მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის შესაბამისად, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით. თუმცა საეჭვოა აღნიშნულის პრაქტიკულად განხორციელება, რადგან დაწესებულებაში ისწავლება მხოლოდ ოთხი პროგრამა (სამი პროფესიის ფარგლებში: 1. ოფისის მენეჯერი, 2. ბუღალტერ-მონაგარიშე, 3. მცირე ბიზნესის მწარმოებელი). დაწესებულების მისიითაც მხოლოდ აღნიშნული პროფესიების განხორციელება არის დასაბუთებული, შესაბამისად რომელიმე პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ფაქტობრივად ვერ იარსებებს მსგავსი პროგრამა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა ყველა სილაბუსის მიხედვით, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებობს 2206 ერთეული სახელმძღვანელო. 2011 წლის 11 აპრილს შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯი „სტარტთან“ გაფორმებული N02 ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულებას

გადაეცა 2181 სახელმძღვანელო, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულების დანართითა და ბიბლიოთეკის ჟურნალით გათვალისწინებულია 2206 სახელმძღვანელო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი შუალედური გამოცდა. თუ პროფესიული სტუდენტი ამ შუალედური გამოცდების შედეგად დააგროვებენ მინიმუმ 20 ქულას, მათ ექნებათ დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენ ქულიანი იყო დასკვნითი გამოცდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გამოცდა იყო 40 ქულიანი. აღნიშნული გარემოება დაადასტურა მომხსენებელმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე -0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს ავტორიზაცია და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 281-ით.

8. შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლალი შაიშმელაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

სკოლაში, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, ინტენსიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას მოსწრების დონეების აღმნიშვნელი სიმბოლოებისა და ზეპირი კომენტარის საშუალებით, თუმცა, სკოლას არ აქვს შემუშავებული განმავითარებელი შეფასების მკაფიო რუბრიკები და წერილობითი კომენტარის ფორმა, რომლითაც მოსწავლესთან ერთად მშობელიც მიიღებდა ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრებისა და შემდგომი წინსვლის გზების შესახებ.

საბჭოს წევრი ანა კლდიაშვილი დაინტერესდა, როგორ მოხდა განმავითარებელი შეფასების არსებობის შემოწმება ექსპერტების მიერ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ჩაატარეს რამდენიმე მასწავლებლის ინტერვიუება, რომლებმაც ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების ერთიან კრიტერიუმებზე. განმავითარებელი შეფასების წერილობითი ფორმა ექსპერტებს არ უნახავთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშობლების ინფორმირება მოსწავლეების მოსწრებასთან დაკავშირებით ხდება ყოველდღიურად, რვეულის ბოლოს კომენტარების აღნიშვნით, აგრეთვე მშობელთა კრების დროს და სემესტრის ბოლოს. მოსწავლეთა პირად საქმეებში სპეციალურად არის გამოყოფილი გვერდი, სადაც დაწვრილებითი კომენტარი კეთდება მოსწავლის მოსწრებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის თქმით, მშობელთა კრებაზე მოსწავლეთა მოსწრებაზე საუბარი არასწორია და კანონს ეწინააღმდეგება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშობელთა კრებაზე ხდება წერილობითი შეფასებების ჩვენება თითოეული მშობლისათვის.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 ბიბლიოთეკაში კლასების მიხედვით სახელმძღვანელოების პაკეტი არ აქვთ, მაგრამ წარმოადგინეს ხელშეკრულება სახელმძღვანელოების კომპლექტების შესყიდვის შესახებ.

2.2 როგორც ინტერვიუთი გაირკვა, უსაფრთხო სკოლის პრინციპის უზრუნველსაყოფად სექტემბრიდან იგეგმებოდა ხელშეკრულების გაფორმება დაცვის პოლიციასთან, თუმცა საბჭოს

სხდომამდე წარმოდგენილ იქნა წერილი მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობის შესახებ. რაც შეეხება უსაფრთხოების კამერებს, სკოლამ გამოსაშვებ გამოცდებისათვის შეიძინა ვიდეომეთვალყურეობის კამერა 1 ცალი, გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 11 ვიდეოთვალის შემენაზე (სკოლის შიდა პერიმეტრის საკონტროლოდ). წინასწარ გადახდილია საერთო ღირებულების 25%-1425 ლარი. გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად იგეგმება 2 კამერის შემენა და დამონტაჟება. ამ შემთხვევაშიც ავანსი გადახდილია 25%-ის ოდენობით. გარდა ამისა სკოლას გაწერილი აქვს ე.წ. უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც ახსნილია უსაფრთხოების წესები. კლასის დამრიგებლებს დავალებული აქვთ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების უსაფრთხო გარემოზე ზრუნვა.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, რა ორგანიზაციასთან იყო გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების კომპლექტის შესყიდვასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება გაფორმებული იყო წიგნების მაღაზიასთან, რაც, დავით კახნიაშვილის აზრით, არ არის საკმარისი პირობა სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის, რადგანაც ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს დაირღვეს. ამასთან, სტანდარტი დაკმაყოფილებული უნდა იყოს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მომენტში და არა მოგვიანებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ შეიცვალა ადგილსამყოფელი, რა დროსაც ბევრი წიგნი დაიკარგა. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა წიგნადი ფონდის შევსებისა და ელექტრონული პროგრამის შექმნისათვის.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

სკოლის პედაგოგები შერჩეული არიან მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, ყველა მათგანს აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება, გარდა ერთისა: იგი არის მე-3 კლასის ინგლისური ენის პედაგოგ ი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში მას მიენიჭება ბაკალავრის ხარისხი და დიპლომის გაცემა მოხდება კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ - ნათქვამია უნივერსიტეტის 20.07.2011 წლის # 2078 ცნობაში.

აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტის მიერ სკოლაში სწავლება დაუშვებელია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 3

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას მიენიჭოს ავტორიზაცია და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 325-ით.

9. შპს - აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ქეთევან ფანჩულიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა მონაცემებს მხოლოდ XI - XII კლასისათვის. დაწესებულებამ ვიზიტის მსვლელობისას წარმოადგინა X კლასის ამსახველი ზოგადი მონაცემები, კერძოდ, ეროვნულ სასწავლო გეგმიდან ამოღებული სწავლის შედეგები.

1.2 სკოლის საათობრივი ბადე მოიცავს მხოლოდ XI - XII კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, თუ კვირის რომელ დღესა და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. არ არის წარმოდგენილი X კლასის გაკვეთილების ცხრილი, რადგანაც, დირექტორის ახსნით, სკოლა წელს არ გეგმავს ამ კლასის მიღებას.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელსაც სკოლა იყენებს სასწავლო პროცესში. სახელმძღვანელოების ჩამონათვალი არ არის X კლასის წიგნების ჩამონათვალი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებას დაიწყებს მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემდეგ. დაწესებულება ექვსი წელია ფუნქციონირებს მოსამზადებელი ცენტრის სახით და შედეგებმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები სკოლებში ფორმალურად დადიან და სინამდვილეში კი ცენტრში მეცადინეობენ და ემზადებიან გამოცდებისათვის. აქედან გამომდინარე დაწესებულების სურვილია, თავად მოიპოვოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი გასცეს.

ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაგეგმილია მხოლოდ მე-11 და მე-12 კლასების სწავლება და აქედან გამომდინარე მე-10 კლასის ზოგადი პროგრამა მართალია არსებობს, მაგრამ არ არის შემუშავებული კონკრეტული ნაწილი, გაკვეთილების ცხრილი. თუ არ გყავს კლასი, მის ცხრილს ვერ დაწერ, მისი სახელმძღვანელოების ჩამონათვალის გაკეთებას აზრი არ აქვს. მომავალ წელს წლევანდელი სახელმძღვანელოები აღარ გამოდგება.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს განიხილავს ზოგადი განათლების ერთ-ერთი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას სტანდარტთან. მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ეს პროგრამა მოიცავს სწავლებას მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში. შესაბამისად, იგი სრულყოფილად უნდა იყოს შემუშავებული ავტორიზაციის მაძიებლის მიერ. როდესაც დაწესებულება ახორციელებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, მან უნდა მიიღოს მსურველები შესაბამის საფეხურზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულება მდებარეობს ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. N68ა/სიმონ ჩიქოვანის ქ. N2-ში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გამქირავებელი ხათუნა კიკაბიძე სკოლას სარგებლობაში გადასცემს 280 კვ.მ. ფართს. აღნიშნული ქირავნობის ხელშეკრულება ვიზიტის მომენტისათვის არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

2.2 სსიპ - 195-ე საჯარო სკოლასთან გაფორმებულია ობიექტით პერიოდულად სარგებლობის მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული სკოლის ვალდებულებას, შპს „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრს“ სასკოლო სპორტული გაკვეთილების ჩატარებისათვის პერიოდულ სარგებლობაში გადასცეს სათანადოდ აღჭურვილი სპორტული დარბაზი.

2.3 სკოლას დამოუკიდებელი ფართი (საკლასო ოთახი) ლაბორატორიისათვის გამოყოფილი არა აქვს. დირექტორის განმარტებით ლაბორატორია განთავსდება იმავე ოთახში (უფანჯრო, 15.08კვ.მ), რომელშიც იქნება სკოლის ექიმი და სკოლის დირექტორი. აღნიშნულ ფართში დგას კარადა, რომელშიც არის ლაბორატორიის აღჭურვილობა და დირექტორის განმარტებით, აღნიშნული აჭურვილობა, საჭიროების დროს, შესაბამისი საგნის გაკვეთილზე შეაქვს მასწავლებელს საკლასო ოთახში. შენობის მეორე სართულზე განლაგებულია სამი საკლასო ოთახი. ერთი ოთახი მეორადი განათებით, მეორე (უფანჯრო 15.08 კვ.მ) კი სამასწავლებლოსთვისაა განკუთვნილი. სკოლაში არ არის გათვალისწინებული კვების ბლოკი.

2.4 სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მესამე სართულის კიბის უჯრედში (მანსარდაში). მოსწავლისა და მასწავლებლის დამოუკიდებელი მუშაობისთვის აღნიშნულ ფართში შესაბამისი პირობები არ არის. თუმცა, დირექტორის განმარტებით ბიბლიოთეკა მუშაობს 2.30 დან 6.00-მდე, როდესაც საკლასო ოთახები თავისუფალია და მოსწავლეები შეძლებენ მათ სამუშაოდ გამოყენებას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული ერთი კომპიუტერი. სკოლის მართვის არც ერთ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ბიბლიოთეკით მუშაობის წესები. ბიბლიოთეკაში არის მხოლოდ წიგნების ჩამონათვალი (ელექტრონული). წიგნები იძებნება თაროების მიხედვით. არ არის მკითხველთა ფორმულარები, კარტოთეკა, არც ანბანური და არც სისტემური კატალოგი.

2.4 ასევე წარმოდგენილ იქნა „აიმც სკოლა თავისუფალი აკადემიის“ შინაგანაწესი და სკოლის დირექტორის ბრძანება N2 სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტებით არ არის გათვალისწინებული სკოლის სტუქტურულ ერთეულთა უფლება-მოვალეობები, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურები.

საბჭოს წევრი რუსუდან ტყემელაშვილი დაინტერესდა, რატომ არ იყო ქირავნობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ არ იცოდნენ ამის საჭიროების არსებობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, სალომე ფრუიძემ, გააკეთა განმარტება, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია მისი რეგისტრირება საჯარო რეესტრში.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სკოლას არ აქვს უფლება, თავის კუთვნილ ფართთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაუფორმოს კერძო სკოლას. შესაბამისად, აღნიშნული სპორტული დარბაზით დაწესებულება ვერ ისარგებლებს.

ლაბორატორიასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში კაბინეტური სისტემა არ არის. თითოეული კლასი მიმაგრებულია ერთ ოთახზე. ერთ-ერთ ოთახში, კარადაში განთავსებულია სხვადასხვა ლაბორატორიის აღჭურვილობები, აგრეთვე სპეციალური კონტეინერები, რომლებშიც ყოველი კონკრეტული გაკვეთილის დროს მასწავლებელი განათავსებს ინვენტარს და შეაქვს შესაბამის კლასში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ ხორციელდებოდა სწავლება კონკრეტულ საგნებში პორტატული ლაბორატორიების გამოყენებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაგალითად მოიყვანა შემთხვევა, როდესაც ფიზიკის გაკვეთილზე მასწავლებელი ხსნის წრედის შეკვრის პრინციპს. იგი იღებს წრედის შეკვრისათვის ყველა საჭირო მოწყობილობას (მაგალითად, ამპერმეტრს, ვოლტმეტრს და სხვა) და კონტეინერის საშუალებით გადააქვს შესაბამის კლასში, სადაც ახდენს დემონსტრირებას.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, აღნიშნული მეთოდი მიუღებელი და არაეფექტური იქნება სკოლისათვის.

მის აზრს არ დაეთანხმა საბჭოს წევრი, ლალი ლოღელიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ პორტატული ლაბორატორიები ფართოდ გამოიყენება, თუმცა აქვე დაამატა, რომ ზოგადად დაწესებულებას ბევრი მნიშვნელოვანი ხარვეზი აქვს.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა ლაბორატორიის აღჭურვილობა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი.

ქეთევან ფანჩულიძემ განმარტა, რომ არა.

დაწესებულების დირექტორის თქმით, მას შემდეგ, რაც მინისტრის ბრძანება გამოვიდა ლაბორატორიებთან დაკავშირებით, დაწესებულების მიერ მოხდა მათი შევსება. რადგანაც ლაბორატორიის შემადგენლობა კონკრეტულად გაწერილი არ არის, გათვალისწინებულ იქნა მასწავლებლების მოთხოვნები.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ სრულიად მიუღებელია, ერთ, 15 კვ.მ. ფართობის ოთახში განთავსებული იყოს ერთდროულად ლაბორატორიის აღჭურვილობა, სკოლის დირექტორის და ექიმის კაბინეტები. მისი თქმით, დამამთავრებელი კლასების სწავლება ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამკითხველო დარბაზისათვის ცალკე ფართი არ არის გამოყოფილი. სკოლის საერთო ფართი - 280 კვ.მ. მოთხოვნას კი აკმაყოფილებს, მაგრამ მინიმალურია, ამიტომ სწავლების გრაფიკი ისეთნაირად არის შედგენილი, რომ მაქსიმალურად მოხდეს ამ ფართის გამოყენება როგორც საკლასო ოთახებად, ისე სამკითხველოდ. ეს უკანასკნელ ფუნქციას შესაბამისი ფართი გაკვეთილების დასრულების შემდეგ იძენს.

საბჭოს წევრი ანა კლდიაშვილი დაინტერესდა, რა იყო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის, შესაბამისი კატალოგების არარსებობის, აგრეთვე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებების განუსაზღვრელობის მიზეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტრუქტურული ერთეულების შესახებ შენიშვნასთან დაკავშირებით ექსპერტებს არ ეთანხმება. სკოლაში სულ 20 ადამიანია დასაქმებული. ამიტომ განსაკუთრებული სტრუქტურა არ არსებობს. წესდების მიხედვით გაწერილია სკოლის დირექტორისა და პარტნიორთა კრების ფუნქციები, რაც სრულიად საკმარისია. სასწავლო გეგმაში ასევე გაწერილია კათედრებისა და დამრიგებლის ფუნქციები.

დავით კახნიაშვილის თქმით, დაწესებულებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამტკიცებული სამტატო განრიგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მსჯელობის დროს ყურადღება მახვილდება უარყოფით მხარეებზე, მაშინ როდესაც დაწესებულებას ბევრი კარგი მხარე აქვს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო ადგენს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას, სტანდარტი ან დაცულია, ან არა. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს ყველა პრობლემური საკითხის განხილვა სტანდარტთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

ცენტრის შინაგანაწესის მიხედვით განსაზღვრულია, რომ თანამშრომლის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, სამედიცინო ცნობა, სამუშაოზე მიღების ბრძანების ასლი. არც ერთ პირად საქმეში არ შეგვხვდა სამედიცინო ცნობა და სამუშაოზე მიღების ბრძანების ასლი.

შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რადგანაც სკოლა ფუნქციონირების დაწყებას ავტორიზაციის მიღების შემდეგ გეგმავს, მასწავლებლებთან გაფორმებულია პირობითი ხელშეკრულებები. ბრძანებები დაიწერება მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებები ძალაში შევა და სკოლა ფუნქციონირებას დაიწყებს. ჯანმრთელობის ცნობების წარმოდგენა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ჯობს, უშუალოდ სწავლის დაწყების წინ მოხდეს მათი წარმოდგენა. რადგანაც ხელშეკრულებები პირობითი იყო გაფორმებული, ამიტომ ჯანმრთელობის ცნობები ამ ეტაპზე მასწავლებლებს არ მოსთხოვეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

10. შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლა ახორციელებს მხოლოდ საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. საბანკო-იურიდიული ლიცეუმის სასკოლო სასწავლო გეგმაში თავმოყრილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაცია, მაგრამ არასრულყოფილად. სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული: ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; შეფასების პრინციპები (ის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც მოსწავლემ უნდა დამლიოს კლასიდან კლასში გადასასვლელად, შიდა სასკოლო ტესტირებები თუ სხვა).

ამას ემატება ის, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში კოპირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ტექსტის უდიდესი ნაწილი. მაგალითად, შეფასების სისტემის ნაწილში საუბარია პირველიდან მე-12 კლასის მოსწავლეთა შეფასებაზე, როდესაც დაწესებულება მხოლოდ მესამე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს.

1.2 ერთი და იგივე დასახელების საგნის სილაბუსი სხვადასხვა კლასში იდენტურია, მაგალითად, სპორტის მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის სილაბუსები. ქართული ლიტერატურის მე-10 კლასის და მე-12 კლასის სილაბუსში საგნის მიზნები და განვითარებული უნარჩვევები იდენტურია.

1.3 შინაგანაწესის მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესი 9:30 -ზე იწყება, თითოეული გაკვეთილი 40-წუთიანია, ყველა დასვენება 5-წუთიანი, მესამე გაკვეთილის შემდეგ დასვენება არის 10-წუთიანი. რაც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (2010-2011 სასწ.წელი, სასწავლო დღისა და გაკვეთილის ხანგრძლივობა, გვ. 44).

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი მოსწავლეთა შეფასების სისტემა, განსაზღვრულია კლასიდან კლასში გადასვლის მინიმალური ბარიერი, თუმცა შეფასების კრიტერიუმები არ არის გამჭვირვალე და არ არის სასკოლო საზოგადოებისთვის ცნობილი. სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები არ არის გაწერილი. თუმცა სკოლა ფაქტობრივად იყენებს სამ კომპონენტთან შეფასებას.

მეთერთმეტე კლასის პირველი ჯგუფის მოსწავლეს კარლო ჭუბაბრიას საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა“ არ აქვს სწორად გამოყვანილი ნიშანი. ჟურნალში

მითითებული ნიშნების რაოდენობა და საბოლოო გრაფაში აღნიშნული ნიშნების რაოდენობის ჯამი ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ შეფასების კრიტერიუმები, კომპონენტები და სისტემა გამჭირვალე არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო წინააღმდეგობრივი და წარმოდგენილი შენიშვნა სასკოლო სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით არ იყო სწორი, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებულია, რომ საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები, რაც წინააღმდეგობაში მოდის ექსპერტთა დასკვნის 1.1 პუნქტთან, სადაც აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურება.

კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს წინაშე განმარტა, რომ წინააღმდეგობა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არ არის. დასკვნის 1.1 პუნქტში აღნიშნულია, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში ცალკე კომპონენტად არ არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, ხოლო 1.2 პუნქტში აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილში საათობრივ ბადეში, საათების სახით წარმოდგენილია დამატებითი საგნები, რომლებიც არ არის ეროვნულ სასწავლო გეგმაში. მაგრამ ცალკე მათი აღწერილობა სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული.

გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ექსპერტებმა იხელმძღვანელეს ძველი, 2007 წლის შინაგანაწესით, მაშინ როდესაც დაწესებულებაში არსებობს ახალი, 2010 წლის შინაგანაწესი, რომელიც სრულიად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელი შინაგანაწესი შეამოწმეს ექსპერტებმა.

მომხსენებლის თქმით, ის ზუსტად ვერ იხსენებდა, თუ რომლის შეფასება მოხდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესის თუ ვებგვერდზე განთავსებულის. თუმცა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვებგვერდზე ორივე მათგანი იყო განთავსებული, თუმცა დომენის შეცვლის დროს გაიპარა ხარვეზი. დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე წარმოადგინა შინაგანაწესი, რომლის იდენტურობა ვებგვერდზე განთავსებულ შინაგანაწესთან მომხსენებელმა ვერ დაადასტურა.

შეფასების სისტემასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წესდებებსა და სილაბუსებში ის გაწერილი იყო.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების პრინციპი არ იყო გაწერილი. არცერთი დოკუმენტი არ ითვალისწინებს შეფასების კომპონენტების კრიტერიუმებად ჩაშლას.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - საბანკო-იურიდიულ ლიცეუმს არ აქვს სპორტული დარბაზი, მოედანი ან აუზი. დაწესებულებას აქვს იჯარით აღებული ფართზე მიშენებული ღია აივანი, საერთო ფართობით 62,51 კვ.მ. მოწყობილი სპორტის ოთახად, ამ ფართში განთავსებულია ინვენტარი მაგიდის ჩოგბურთისათვის, სამი ინდივიდუალური ლეიბი, საცოცი ბაგირი, რამდენიმე ბურთი, სახტუნავი თოკები და ბადმინტონი. სკოლაში ასწავლიან და სპორტის სახედ არჩეული აქვთ ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი.

შპს - საბანკო-იურიდიულ ლიცეუმს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა/ა „ხელოვნების უმაღლეს სკოლა ეიჩესეისთან“ სპორტის გაკვეთილების, სპორტული ლათინო-ამერიკული ცეკვების ჩატარებასთან დაკავშირებით.

2.2 სკოლას ამ ეტაპისთვის არ გააჩნია აღჭურვილი ლაბორატორია. დაწესებულებამ წარმოადგინა 2011 წლის 28 ივნისს შპს „ინსტა-ჯორჯიასთან“ დადებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკა, ქიმია, და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის შეძენას.

2.3 სკოლას ცა ლკე ოთახში გამოყოფილი ბიბლიოთეკა არ გააჩნია. ბიბლიოთეკა განთავსებულია სამასწავლებლოში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წიგნადი ფონდის ადგილზე გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან სამი წიგნი ბიბლიოთეკაში არ არის, კერძოდ მე-10 კლასის „სამოქალაქო განათლება“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, ავტორები: ლ. მიქიაშვილი, თ. მეიფარიშვილი, ზ. მიმინოშვილი; მე-11 კლასის „ფიზიკა“, გამომცემლობა „სპექტრი“, ავტორი: ე. ბასიაშვილი; მე-12 კლასის „ბიოლოგია“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, ავტორი: რ. ახვლედიანი.

2.4 სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. ვიზუალური დათვალიერებითა და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ლიცეუმს არ გააჩნია პანდუსი.

2.5 დაწესებულებაში არის ოთახი, რომელსაც ჰქვია სამედიცინო კაბინეტი, მაგრამ ის არაა აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები გაწერილია საბანკო-იურიდიულ ლიცეუმის დამფუძნებელთა 2010 წლის 09 ოქტომბრის სხდომის ოქმში.

2.6 სკოლის გარე პერიმეტრი არ კონტროლდება უსაფრთხოების კამერებით.

სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან. ჯერჯერობით არ აქვთ გარე პერიმეტრის მაკონტროლებელი კამერები, თუმცა უახლოეს მომავალში დაგეგმილია მათი შეძენა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა დაწესებულებასა და პედაგოგებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების მოქმედების ვადა გასულია 2010-2011 წლის დასაწყისისთვის.

3.2 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიონალური განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. საბანკო-იურიდიული ლიცეუმის ადმინისტრაცია თანამშრომლებს „პერმანენტულად პედსაბჭოსა და კათედრების სხდომებზე აცნობს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ სიახლეებს“.

შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაპარული იყო ტექნიკური შეცდომა და ხელშეკრულებებში 2010-2011 წ.

აღნიშნული უნდა იყოს, როგორც შრომითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის და არა შეწყვეტის თარიღი.

კონსტანტინე ჩოკორაია არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებას და აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ტექნიკური შეცდომა იყო გაპარული, შრომითი ხელშეკრულება მაინც არ მოქმედებს, რადგანაც სასწავლო წელი დასრულებული იყო ივნისში, ხოლო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2011 წლის ივლისში. მისი თქმით, ვიზიტის მომენტისათვის ხელშეკრულებები არ მოქმედებდნენ.

საბჭოს წევრის, ანა კლდიაშვილის აზრით, ხელშეკრულება იურიდიული დოკუმენტია და მასში ყველანაირი, თუნდაც ტექნიკური შეცდომის დაშვება სერიოზულ შედეგებს იწვევს. ამიტომ სახეზეა ხარვეზი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საბანკო-იურიდიული ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საბანკო-იურიდიულ ლიცეუმს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:45სთ-ზე.

იოსებ სალუქვაძე

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,
სხდომის თავმჯდომარე

გაიანე სიმონია

სხდომის მდივანი